პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 მარტი ოთხშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 61 (15578)

ეს დღეები საკოლმეურნეო მინდვრებზე

ლილიდან გვიან საღამომდე არ წყდება ტრაქტორების გუგუნი მცხეთის რაიონის მინდვრებზე, სადაც საგაზაფხულო კულტურების თესვა მიმდინარეობს. ამ კამპანიის ვადაზე და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის მექანიზატორთა შორის ფართოდ გაიშალა შეჯიბრება.

საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მცხეთის ექსპერიმენტულ მეურნეობაში მნიშვნელოვან ნაკვეთებს დაიკავებენ ბოსტნეულის კულტურები და შვრია. მექანიზატორებმა ხუთწლედის დამკვრელურ წელს გადადებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს. ამ დღეებში თესვაზე გამოირჩევა ტრაქტორისტთა ბრიგადა, რომელსაც გიორგი გაბინაშვილი ხელმძღვანელობს.

სურათზე: ზემოთ — შაქრის ჭარხლის თესვა; ქვემოთ — მებოსტნე შალვა მგლიშვილი და ტრაქტორისტთა ბრიგადირი გიორგი გაბინაშვილი ჭარხლის თესლის ხარისხს ამოწმებენ.

ი. დავითაშვილის და ს. თევზაძის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).



საბჭოთა ადამიანის სიამაყე

საბჭოთა ადამიანი უსაზღვროდ ერთგული პატრიოტი და მტკიცე ინტერნაციონალისტია. კომუნიზმის იდეალებით, მაღალი პატრიოტული მოვალეობის შეგნებით აღფრთოვანებული იგი ენთუზიაზმით აშენარ ძალღონეს სოციალისტური საშობლოს განმტკიცებისა და აყვავების საქმეს. მისი შემოქმედებითი შრომის ენერგია წარმატებით ახორციელებს სკკპ XXIV კონგრესის მიერ შემუშავებულ ქვეყნის შემდგომი განვითარების პროგრამას.

მშობლიური ოჯახისადმი — საბჭოთა კავშირისადმი — მზრუნველი სიყვარულით ძგერს ხელოვნი ნათესაობის, ინტერნაციონალური ძმობის უწყვეტი კავშირით გაერთიანებული ყველა ეროვნების მშრომელთა გული. მათი პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი ორგანულად შერწყმულია ერთ მშვენიერ გრძნობაში — საბჭოთა ადამიანის საერთო-ეროვნულ სიამაყეში.

ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის პირობებში სოციალისტური წყობილებით შობილი მთელი ჩვენი ხალხის ეს დიდი პატრიოტული გრძნობა განსაკუთრებით მკაფიოდ და ხრულად გამოვლინდა სსრ კავშირის ნახევარი საუკუნის სახელოვანი შედეგების შეჯამების დროს. ჩვენ ხრული უფლება გვაქვს ვიამაყოთ მიღწეულით და მომავლის ჩვენი აღმშენებლობითი გეგმებით. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი სამშობლოთი, მოძმე საბჭოთა ხალხების გმირობით, რომლებმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ააშენეს სოციალიზმი და დაიცვეს მისი მონაპოვრები, ვამაყობთ „განთავისუფლებული შრომის დიდი მიღწევებით, მეცნიერების მიღწევებით, კულტურის აყვავებით, რომელსაც მრავალფეროვანი ეროვნული ფორმები აქვს, ჩვენი ხალხის ცხოვრების წესით, რომელმაც კაცობრობას დაანახვა ახალი ჰორიზონტები, ახალი მორალური ღირებულებანი და იდეალები. შეეხო რა ამას მოხსენებაში სსრ კავშირის ორმოცდათი წლისთავის შესახებ, აშხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა: „საბჭოთა ადამიანის საერთო ეროვნული სიამაყე — ეს უზარმაზარი, ტევადი, თავისი შინაარსით უმდიდრესი გრძნობაა. იგი უფრო ღრმა და ფართოა, ვიდრე ჩვენი ქვეყნის შემადგენელი ხალხებიდან თვითეულის ბუნებრივი ეროვნული გრძნობები. მან შეიხიხლხლორცა ყოველივე საუკეთესო, რაც კი რამ შიჩნეოა მილიონობით ხალხთა ადამიანის გარჯით, ვაჟკაცობით, შემოქმედებითი გენიით“.

დიდი ერთობის ეს კეთილშობილური გრძნობა მშრომელებს უვითარდება სსრ კავშირის ხალხთა წარმატებების გავლენით. მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შედეგები განმტკიცებისათვის, მთი საერთაშორისო ავტორიტეტის და გავლენისათვის ბრძოლის პროცესში. ამასთან საბჭოთა ადამიანის საერთო ეროვნული სიამაყის გრძნობის განვითარება, მაღალი პატრიოტული და ინტერნაციონალისტური თვითშეგნების ჩამოყალიბება კეთილაკეც მოითხოვს პარტიის მიზანმიმართულ მეცადინეობას.

სოციალისტური პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის ხელისკეთებით, საერთო-ეროვნული სიამაყის სულისკეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდისათვის ოდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის 50 წლისთავის დღესასწაულის მასალების პროპაგანდასა და ღრმად შესწავლას. როგორც ცნობილია, ამ მიზნით დაიწყო მეცადინეობა პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციებსა და ბავშვებისათვის. მთი საერთაშორისო ავტორიტეტის და გავლენისათვის ბრძოლის პროცესში. ამასთან საბჭოთა ადამიანის საერთო ეროვნული სიამაყის გრძნობის განვითარება, მაღალი პატრიოტული და ინტერნაციონალისტური თვითშეგნების ჩამოყალიბება კეთილაკეც მოითხოვს პარტიის მიზანმიმართულ მეცადინეობას.

ეროვნული ურთიერთობის ამ გრძნობას ინარჩუნებს საერთო ოჯახურობასთან. ჩვენთვის ხალხებით უცხო და ხაზზარია თვით ამბავი ერთი ხალხის ოპორატეხობის შესახებ მეორე ხალხის მიმართ და მით უმეტეს ეროვნული თუ რასობრივი განსაკუთრებულობის მოდათი იდეები. პარტია გადაჭრით ილაშქრებდა და ილაშქრებს ეროვნული გრძნობების ზიდმეტი თუ დამახინჯებული გამოვლინების წინააღმდეგ. სკკპ XXIV კონგრესმა აღნიშნა, რომ საჭიროა მშრომელები ალაბარდოთ ყველა ერისა და ეროვნებისადმი პატივისცემის სულისკეთებით. სწორი პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა ნაციონალისტური ცრურწმენებისადმი მებრძოლი შეურიგებლობა.

თანამედროვე პირობებში უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება საერთო-ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩანერგვას მოზარდი თაობისათვის. საჭიროა პარტიული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხიხტემის მუდმივი, ბეჯითი მუშაობა, რათა ჩვენი ცვლა ბავშვობიდანვე ღრმად ალიქვამდეს სსრ კავშირის ხალხთა რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, ამაყობდეს ამით, ამაყობდეს ყველაფერით, რაც შეადგენს საბჭოთა ადამიანების საერთო საერაცხელ ეროვნულ სიმდიდრეს. ახლახან „პრავდის“ ფურცლებზე გაშუქებული იყო ახალი მუშაობის გამოცდილება ყირგიზეთის სკოლებში. რედაქცია ბევრ წერილს იღებს სხვა რესპუბლიკებიდან მოხწავლეთა, მუშა და ხოფლის ახალგაზრდობის პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის მრავალფეროვანი პრაქტიკის შესახებ. ამ მნიშვნელოვან საქმეში დიდი წვლილი უნდა შეიტანონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ლიტერატურამ და ხელოვნებამ. პატრიოტული თემა მისი შინაარსის მთელი სიმდიდრით ღიარეულად უნდა აისახოს მხატვრულ ნაწარმოებებში, პრესაში, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებში.

საბჭოთა ადამიანის საერთო-ეროვნული სიამაყის გრძნობა დიდი მორალური ძალაა. იგი ხელოვნად ამაღლებს საბჭოთა პატრიოტებს და შთააგონებს მათ ხელ უფრო კარგად იშრომონ სსრ კავშირის ხალხთა კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, სოციალისტური სამშობლოს ნათელი მომავლისათვის.

PRAVDA

28 მარტის მოწინავე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა და იტალიის კომპარტიის დელეგაციის მოლაპარაკება

ამა წლის 12 მარტს კრემლში დაიწყო მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით და იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის ამხ. ე. ბერლინგუერის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, „პრავდის“ მთავარი რედაქტორი მ. ვ. ზიმანინი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ჯანყოფილების გამგის მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი.

იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობისა და პოლიტბიუროს წევრი ა. ნოველა, იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრი დ. ჩერავოლო, იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ს. სეგრე, ლ. პავოლინი, ა. რუბი და რ. ტრიველი, იტალიის კომპარტიის რომის ფედერაციის სამდივნოს წევრი ფ. პრისკო.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ვ. ალექსანდროვი.

მოლაპარაკება კეთილგანწყობილებისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობს.

(ტასსი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

უზრუნველყოთ ხუთწლედის მესამე წლის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს და შეაჯამეს რესპუბლიკის მრეწველობაში, მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში თებერვლისა და მიმდინარე წლის ორი თვის სახელმწიფო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგები. ეს შედეგები მოწმობენ, რომ საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს, აღმოფხვრეს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი წარმოების სხვადასხვა რგოლში და ამ საფეძველზე რამდენადმე გაუმჯობესეს სახალხო მეურნეობის დარგების მუშაობა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ჯაფარიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ თებერვალში, რესპუბლიკის მრეწველობამ 103,2 პროცენტით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა, საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა — 103,8 პროცენტით, რაც აღემატება იანვრის მაჩვენებლებს, ზოგიერთმა სამინისტრომ, უწყებამ და საწარმომ ნაწილობრივ გამოასწორა იანვარში დაშვებული ჩამორჩენა. მაგალითად, პროდუქციის რეალიზაციის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს ადგილობრივი მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა, „ორის ბამბეულის კომბინატმა და სხვებმა. ფირმა „საქყოფილმმა“ მოლიანად დაფარა იანვარში დაშვებული პროდუქციის დანაკლისი და მთლიანად შეასრულა ორი თვის გეგმის დავალებანი.

იანვარ-თებერვალში სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულდა 103 პროცენტით, საერთო პროდუქციის გამოშვებისა — 103,3 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, პროდუქციის რეალიზაციის ზრდის ტემპმა შეადგინა 8,1 პროცენტი, საერთო პროდუქციის გამოშვებისამ კი 11 პროცენტი. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მატების 97 პროცენტზე მეტი.

თებერვალში გაუმჯობესდა კაპიტალდაბანდებათა გეგმის შესრულება. სხვადასხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა საქართველოს სს რესპუბლიკაში შესრულდა 107 პროცენტით. სხვადასხვა მოუმაოთა პროგრამა შეასრულეა ყველა სამინისტრომ და უწყებამ, რომლებიც ამ სამუშაოებს აწარმოებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

იყენებენ რა ხელსაყრელი ამინდის პირობებს, ადრე შეუდგნენ მინდვრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. თესვა დაიწყეს აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის თელავისა და რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. ამასთან, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გრძელდებოდა ზამთრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები — სათესლე მასალის გაწმენდა, მინერალური სასუქების შერევა, სასუქების გატანა მინდვრად და სხვ.

ამასთან, მიღწეულმა წარმატებებმა არ უნდა დაჩრდილოს ის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, რომლებიც არის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ყველან როდი მიღწეული საჭირო გარდატეხა მუშაობაში, მთელ რიგ შემთხვევებში უზრუნველყოფილი არ არის მწყობრი რიტმი და წარმოების სათანადო ეფექტიანობა.

იმ სამრეწველო საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც ვერ შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის გეგმა, თუმცა შემცირდა, მაგრამ ჯერჯერობით კვლავ დიდია. იანვარ-თებერვალში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ვერ შეასრულეს საშენ მასალათა მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ვეტერინარიის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, ქურნალისტთა კავშირმა, ავტომობილთა კავშირმა — „საქმეთა ავტინსპექციამ“, ფერადი მეტალურგიის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, ჩაის-სამშენებლო და საინსტრუმენტო მრეწველობის საწარმოებმა და სხვებმა.

იანვარ-თებერვალში დაძლეულ არ არიან ჩამორჩენა ფოლადის, სამაგისტრალო ელმავლების, შიფერის, ბამბეულისა და შალეულის ქსოვილების, წინდის ნაწარმის, ზედა ტრიკოტაჟის, ტყავის ფეხსაცმლისა და ზოგიერთი სხვა სახეობის ნაწარმის გამოშვების გეგმის შესრულებაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოთა ჩამორჩენა. ამ დარგის თოთხმეტი საწარმოდან საერთო პროდუქციის გეგმა ვერ შეასრულა რვა საწარმომ, მათ შორის საქართველოს ელექტრომანქანათმშენებლობისა და „ელექტროაპარატის“ გაერთიანებებმა: ქუთაისის „ელექტრომექანიკურმა“ ქარხანამ, ზესტაფონის „საქკაბელის“ ქარხანამ, ფოთის ქარხანა „ელექტროაპარატმა“ და სხვებმა.

ორი თვის შედეგებით გეგმა ვერ შესრულა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ექვსმა საწარმომ — თელავის წინდის ფაბრიკამ, ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკამ, თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკამ და სხვებმა, სამინისტროს ზოგიერთი საწარმო ღუმებს, არადამაკმაყოფილებელი ხარისხის პროდუქციას, არღვევს გეგმის ასორტიმენტს და პროდუქციის მიწოდების პირობებს, რის შედეგად ცალკეულ საწარმოებს დიდი საწარმოო ზარალი მოსდით.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში პროდუქციის რეალიზაციის იანვარ-თებერვლის გეგმა ვერ შესრულა 28 საწარმომ, რომლებმაც რეალიზაციის გეგმის შესრულებას დაიღალეს 1,6 მილიონი მანეთის პროდუქტი. პროდუქციის რეალიზაციისა და გამოშვების გეგმა ვერ შესრულეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა.

საქართველოს ყველა საწარმოში როდი ეთმობა სათანადო ყურადღება შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხს. მოლიანად რესპუბლიკაში ორი თვის მანძილზე ამ მაჩვენებელმა შეადგინა 102,9 პროცენტი. მაგრამ თბილისისა და ქარხნების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ — საკავშირო დაქვემდებარების 29 საწარმომ და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების 129 საწარმომ შეამცირეს შარშანდელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება.

„ცალკე არადამაკმაყოფილებელია კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულება. იანვარ-თებერვალში ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებათა გეგმა მოცულობის მიხედვით შესრულდა 72 პროცენტით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მიხედვით — 90 პროცენტით. გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩენენ მსუბუქი, ბორეული და რძის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობებმა, ო

ახალი პარტიული ბილეთის მიღებისას...

ოქტომბრის რაიონისა და 26 კომისრის სახელობის რაიონის პარტიული ორგანიზაციების შემდეგ 12 მარტს პარტიული დოკუმენტების გამოცვლას შეუდგა ნაქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომმა.

რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში, რომლიც სრულიად ნაკავშირო მამასახლისის მ. ი. კალინინის სახელს ატარებს, გაერთიანებული არიან რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრალური რაიონის კომუნისტები, რომელშიც განლაგებულია პარტიის ცენტრალური და თბილისის ოლქკომები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სამინისტროები და უწყებანი. ქართული მეცნიერების შტაბი— მეცნიერებათა აკადემია, შემოქმედებითი კავშირები.

ამ რაიონს მყავს ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები, აქ განლაგებულია ამირკავკასიაში უდიდესი საფეხრო მრეწველობის საწარმოო კიბერთიანება, მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლები და თეატრები.

რაიონი, სადაც 14 ათასზე მეტი კომუნისტია, ორგანიზებულად მოემზადა პარტიული დოკუმენტების გამოცვლისთვის. მოეწყო გასაუბრება კომუნისტებთან, დაზუსტდა მონაცემები. და რაც მთავარია — ფიქრი შინაარსიანი და უფრო მდიდარი გახდა შინაპარტიული ცხოვრება. ამალდა კომუნისტთა ავანგარდული როლი, გაიზარდა პასუხისმგებლობა მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის. კომუნისტები თავიანთი გულის თავიანთი სულის ნაწილს აქცევენ იმ საქმეში, რომელსაც ემსახურებიან.

...პარტიის კალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ პარტიუნი ბილეთები გადასცა ადამიანებს, რომელთა სახელებიც ცნობილია პარტიული და მოქალაქეობრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულებით. ლენინური პარტიისა და სამშობლოსადმი შთაგონებული სამსახურით.

1973 წლის ნიმუშის პარტბილეთებს იღებენ ლენინური პარტიის ვეტერანები. სახელგანთქმული მეცნიერები, დიდი სამამულო ომის გმირები, საბჭოთა არმიის გენერლები. ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, წარმოების ნოვატორები.

უდიდესი სიამაყით, სათუთად და მღელვარებით იღებენ ისინი პარტიულ ბილეთს, რომელშიც გამოხატულია ჩვენი პარტიის ბულდი და დამაარსებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. აქვე წარწერილია მისი გულშიჩამწვდომი, სამუდამო დასამახსოვრებელი სიტყვები: „პარტია ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისია“.

ლუდმილა ვასილის ასული ჩესნოკოვა-ვირაპეტიანი — სკკპ წევრი 1916 წლიდან. ჩვენ ვთხოვთ ძველ კომუნისტს თავისი აზრი გაგვიზიაროს მისთვის პარტბილეთის გადაცემის დღეს.

— არ შემიძლია არ გავიხსენო, თქვა მან, რომ 1920 წელს ბედნიერება მბვდა წილად ვყოფილიყავი რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის ზამოსკვორეჩიეს რაიკომის მდივანი. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა კრემლის პირველადი პარტორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად პარტბილეთი გამოცვალა ჩვენს რაიკომში. დიდი ლენინის სახელი და სახე ყოველთვის იყო და დარჩება ჩვენთან, როგორც დროშა, როგორც მისი იდეების, მისი ანდერძის სიმბოლო, რომელიც ცოცხლობს პარტიის პოლიტიკაში, მის მრავალმხრივ მუშაობაში, კომუნისტთა საქმეებსა და გულში.

თვალსაჩინო საბჭოთა მათემატიკოსისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტისათვის, აკადემიკოს ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილისათვის ახალი პარტბილეთის გადაცემა დიამოხვა მისთვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ოქრის მედლის გადაცემას მათემატიკისა და მექანიკის დარგში ნაშრომებისათვის.

— იმუშაო საბჭოთა მეცნიერების შემდგომი აყვავებისათვის, — თქვა ქართული მათემატიკური სკოლის მეთაურმა, — რა არის ამაზე უფრო დიდნიშვნელოვანი და უფრო საპატიო კომუნისტი მეცნიერისათვის.

მე სკკპ XXIV ყრილობის სხვა დელეგატებთან ერთად კენჭი ვუყარე რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებდა პარტიული დოკუმენტების გამოცვლას. სახიზარულო და სახიამოვნოა დაინახო და შეიგნო, რომ ხორციელდება ყრილობის ეს და სხვა წინასწარდასახულებანი.

— ჩვენ, — მჭსოველებმა, — თქვა ხაქინფორმის კორესპონდენტთან ხაუბარში სოციალისტური შრომის გმირმა ეთერ ბაგრატის ასულმა ხოლომონიამ, — ვიცით, რომ პარტიის ნდობისათვის ჩვენი ხაუკეთესო პასუხია ახალი ათასობით მეტი ხარისხოვანი ქსოვილები საბჭოთა ადამიანებისათვის. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მოსამზადებელი ნაამქრის ტექნოლოგად. ჩვენი კოლექტივის სახელით შეგვიძლია აღვთქვამ, რომ მიხარია და ქედი (ქსოვილის დასამზადებელი ნახევარფაბრიკატი), რომელსაც ჩვენ საქსოვ ხაამქროებს ვაძლევთ, იქნება ხაუკეთესო, სანიმუშო ხარისხისა.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლის პირველ დღეს კალინინის რაიკომში პარტიული ბილეთები გადაეცათ საბჭოთა არმიის მხედართმთავრების, გენერლების ჯგუფს. მათ შორის არიან სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების გმირი გენერალ-მაიორი გ. გ. უორაშვილი, სტალინგრადის ბრძოლის მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ვ. ნინეიშვილი. პარტბილეთი გადაეცა დიდი სამამულო ომის წლებში მტრის წინააღმდეგ მებრძოლი სახელგანთქმული პარტიზანთა მეთაურს საბჭოთა კავშირის გმირს დ. ი. ბაქრაძეს. 1973 წლის ნიმუშის პარტიულ დოკუმენტებს იღებენ მეცნიერები — ლენინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ა. მელიქიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოსი მდივანი ვ. დ. კუბრაძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შ. ი. ამირანაშვილი.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა მისწრაფებებზე — შექმნან ჩვენი დიადი ეპოქის, ჩვენი თანამედროვეობის ღირსეული ნაწარმოებები, ილაპარაკეს ახალი პარტბილეთების მიღებისას საქართველოს მხატვართა კავშირის თავჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უ. მ. ჯაფარიძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გ. გ. აბაშიძემ, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. კ. ანთაძემ.

პარტიული ბილეთი გადაეცა სკკპ წევრს 1917 წლის აპრილიდან ვ. ა. ბაბაჯანოვს და სხვებს.

ნინ მიმავალი მებრძოლი, რომელიც მზად არის გადალახოს ყოველგვარი ხიძნელე, სიტყვითა და საქმით აღანთოს ადამიანები — ასეთია ხალხის წარმოდგენა პარტბილეთთან ადამიანებზე.

(საქინფორმი).

ინფორმაციის ბიურო

ბრალდებული

ჯ. შულცი საბჭოთა კავშირში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ნ. ნოვიკოვმა 12 მარტს საუზმე გამართა ეკონომიურ საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწის, ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის ჯ. შულცის საბჭოთა კავშირში ყოფნის გამო.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ვ. თ. ბარბუზოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე მ. რ. კუზმინი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე მ. ნ. სვეშნიკოვი და სხვები; ამერიკის მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში ა. დაბსი, ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის მოადგილე დ. ფ. ბენტი, ამერიკის დელეგაციის წევრები.

იმავე დღეს მ. რ. კუზმინი შეხვდა ჯ. შულცს. საუბრის დროს განხილულ საბჭოთა კავშირ-ამერიკის საგაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარების საკითხები.

საუბარს დაესწრო ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში ა. დაბსი.

ჯ. შულცი მიიღო ამერიკის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ მ. ნ. სვეშნიკოვმა. (საკრესი).

საბერძნეთის ხელისუფალნი აძლიერებენ რეპრესიებს სტუდენტების წინააღმდეგ, რომლებიც იბრძვიან უმაღლეს სასწავლებლებში დემოკრატიული გარდაქმნებისა და ამ კანონის გაუქმებისათვის, რომლის ძალით მთავრობას შეუძლია წაართვას მათ სწავლის უფლება და სამხედრო სამსახურში გაიწვიოს. ამ კანონის მიზანია ინტელიგენციიდან განდევნონ პროგრესულად განწყობილი ახალგაზრდობა.

* * *

სურათზე: საბერძნეთის პოლიცია უსწორდება სტუდენტთა დემონსტრაციას ათენში.

კამერა პრეს-საგენტის ფოტო.

ნიუ-იორკი — აგრესორს აქეზებენ

13 მარტს. (საკრესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ორი კვირის ვიზიტის დამთავრების შემდეგ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა გ. მეირმა ლოდის აეროპორტში განაცხადა, რომ „ვაშინგტონმა გამოიჩინა მზადყოფნა მისცეს ისრაელს ყველაფერი, რაც მან ითხოვა, მათ შორის იარაღიც“. „ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში ისრაელის მიმართ, — ხაზი გაუსვა მან, — არავითარი ცვლილებანი არ მომხდარა“.

მეირის განცხადება მოწმობს, რომ ისრაელის მმართველი ზედაფენის აგრესიულ ექსპანსიონისტურ კურსს არაბული ქვეყნების მიმართ სრული გაგებით ეკიდება და მხარს უჭერს ვაშინგტონი.

ამერიკის შეერთებული შტატები დაჰპირდა, რომ ისრაელს კვლავაც დაეხმარება სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის ზრდაში, მეირმა განაცხადა, რომ ისრაელს „არა აქვს არავითარი საფუძველი და მიზეზი, რათა შეიტანოს თავისი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში“.

ჰანოი — ფუკუოკის საპუროგილეში

13 მარტს. (საკრესი). ნამზრეთ ვიეტნამიდან მიღებული ცნობებით, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციებმა ოთხმხრივ გაერთიანებულ სამხედრო კომისიაში საერთაშორისო სამეთვალყურეო და საკონტროლო კომისიის ჯგუფთან ერთად 9 მარტს სამხრეთ ვიეტნამში ფუკუოკის კუნძულზე დაათვალიერეს პატიმართა ბანაკი.

მხოლოდ ორი დელეგაციის დაბეჯითებითი მოთხოვნის შემდეგ ამერიკისა და საიგონის მხარეები დათანხმდნენ საშუალება მიეცათ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის წარმომადგენლებისათვის დაეთვალიერებინათ პატიმართა სამყოფი ადგილი.

მაგრამ 30-50 კაცის ნაცვლად, როგორც ეს წინათ იყო დათქმული, დელეგაციებს მოუწევდეს შეხვედრა მხოლოდ 23 პატიმართან.

23 კაცმა შეხვედრის დროს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ საიგონის ხელისუფლებმა არ გაიცნეს ფუკუოკის პატიმრებს პაერზის შეთანხმების ტექსტი და რომ ბანაკის უფროსის ბრძანებით პატიმრებს სცემენ.

ქინინა — მოლაპარაკება განახლდა

13 მარტს. (საკრესი). დღეს აქ განახლდა ხაბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განყოფილებასთან სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლობის შენობაში „ვენეციაში სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემენოვი მოლაპარაკებაზე, შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურს, საგანგებო დავალებათა ელჩს ა. ჯონსონს.

ვაშინგტონი — უ. როჯერსის ინტერვიუ

13 მარტს. (საკრესი). ამერიკის შეერთებული შტატების ხახელმწიფო მდივანმა უ. როჯერსმა რადიოხატელევიზიო კომპანიის „ნაციონალისათვის“ მიცემულ ინტერვიუში იმედი გამოთქვა, რომ ვიეტნამის ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმება „ქმედითი იქნება, ცეცხლის შეწყვეტა კი ეფექტიანი“.

უ. როჯერსმა, დაიმოწმა ვიეტნამის „გაუმჯობესება“ სამხრეთ ვიეტნამში და შეთანხმების დარღვევათა რიცხვის შემცირება. და განაცხადა, რომ, ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, შეთანხმების წარმატება ეწინაარეს ყოველისა დამოკიდებულია „ყოველგვარი საომარი მოქმედების შეწყვეტაზე, ჩვენი ყველა სამხედრო ტყვის დაბრუნებასა და სამხრეთ ვიეტნამიდან მოელი ჩვენი შეიარაღებული ძალების გამოყვანაზე“.

ამის შემდეგ, ვიმედოვნებ, თქვა მან, რომ „მხარეები შეძლებენ გადაწყვიტონ საკუთარი პოლიტიკური პრობლემები“, როგორც სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, შეერთებული შტატები ამბობს 28 მარტისათვის დაამთავროს ჯარების გამოყვანა ვიეტნამიდან.

სახელმწიფო მდივანმა თქვა, რომ „სიტუაცია კამბოჯაში განსაკუთრებით რთულია“. მაგრამ, აღნიშნა მან, „იმედი გვაქვს, რომ შეიქმნება შესაძლებლობა მივაღწიოთ შეთანხმებას მოლაპარაკების გზით, როგორც მოხდა ეს ლაოსში“.

უ. როჯერსი დადებითად გამოეხმაურა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესს და განაცხადა, რომ მალე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კონგრესის განსახილველად შეიტანს კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას საბჭოთა კავშირისათვის. სახელმწიფო მდივნის თქმით, ეს მოსწავლებს ხელის აღებას „დისკრიმინაციულ ტარიფებზე, რომლებიც ახლა არის კომუნისტურ ქვეყნებთან ვაჭრობაში“. სწორი არ იქნებოდა, აღნიშნა სახელმწიფო მდივანმა, რაიმე პირობების თავს მოხვევა ამ კანონპროექტის მიღების დროს. როცა კონგრესი მოიწონებს კანონპროექტს, ხაზი გაუსვა მან, „ჩვენ საბჭოთა კავშირთან გვექნება ისეთივე საგაჭრო ურთიერთობა, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან“.

სახელმწიფო მდივანმა უარი თქვა გაეკეთებინა რაიმე განცხადება ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების პერსპექტივებზე.

ტოკიო — ზეგავლენა ძლიერდება

13 მარტს. (საკრესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურმა დესპანმა პ. პიტერსონმა დატოვა იაპონია ამ ქვეყნის მთავრობის, სამრეწველო და საფინანსო წრეების წარმომადგენლებთან სუთი დღის მოლაპარაკების შემდეგ. მოლაპარაკებაზე განხილეს ორი ქვეყნის საგაჭრო-ეკონომიური პრობლემები.

როგორც იაპონიის პრესა იუწყება, პიტერსონმა ჯერ დაიჭოლია იაპონელი პარტნიორები და მეტოქეები დათანხმებოდნენ ამერიკის მოთხოვნებს შეერთებულ შტატებთან ვაჭრობაში დადებითი ბალანსის შემცირების ეფექტიან ღონისძიებათა შესახებ. ტოკიომ კვლავ დაპირებანი მოიშველია, ზოგიერთ საკითხში კი დაუთმობელ პოზიციას დაიდგა.

საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ი. ნაკასონემ მთელი რიგი ამერიკული საქონლის იმპორტის ლიბერალიზაციის შესახებ ამერიკის მოთხოვნის პასუხად განაცხადა, რომ მისი მთავრობა ყოველგვარ შესაძლო ღონისძიებებს მიმართავს, მაგრამ ამ საკითხში ჯერ კიდევ ბევრი სიძნელეა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კ. ცურუმიმ პ. პიტერსონთან შეხვედრაზე ბაზგასმით აღნიშნა, რომ საკვანო ბალანსის გასათანაბრებლად საჭიროა ორივე მხარის ერთობლივი ღონისძიებანი. უპასუხოდ დარჩა პ. პიტერსონის მოთხოვნაც ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის ლიბერალიზაციის შესახებ, რასაც დაეინებით მოითხოვდა მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრთან შეხვედრაზე.

პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ იაპონია ამჯერად არ შეეპუა ვაშინგტონის ზეგავლენას, მაგრამ აფრთხილებს, რომ სულ უფრო გაძლიერდება ზეგავლენა ოკეანის გაღმიდან.

სომალში საბჭოთა სამეზედრო ხომალდების ვიზიტის გამო

ბილწეული შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი კრეისერ „ადმირალ სენიავინისა“ და საზღვაო ტრანსპორტის შემადგენლობით და კონტრ-ადმირალ ვ. ს. კოუგლოვის სარდლობით ამა წლის 15-20 მარტს ეწვევა ოფიციალური მეგობრული ვიზიტით სომალის მოგადიშოს ნავსადგურს. (საკრესი).

ლონდონი — გრძელი მწვავედგა

13 მარტს. (საკრესი). ინგლისში მესამე კვირაა გრძელდება გაფიცვები, რომლებსაც ერთდროულად აწყობს მშრომელთა სხვადასხვა რაზმი. ისინი პრეტენზიას აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ მთავრობა ლახავს მათ საარსებო დონეს.

დღეს დილიდან ინგლისის სამხრეთ ნაწილში ხაზზე არ გასულა მატარებლების 75 პროცენტი, სოლო ცენტრალურ რაიონებში — 60 პროცენტი.

გაფიცულია საავადმყოფოების მომსახურე პერსონალის 200 ათასზე მეტი მუშაკი. მშრომელთა ეს ყველაზე მცირეანაზღაურებადი კატეგორია სხვებზე უფრო მწვავედ განიცდის კონსერვატორთა „ანტიინფლაციური“ პოლიტიკის შედეგებს.

გაფიცვას განაგრძობენ გაზის წყლის მუშები, რის შედეგადაც გაზის მიწოდება შეწყდა 3 ათასზე მეტ სამრეწველო ხაწარმოში.

დღეს გაფიცულია არმიის შეიარღოდა ხახელმწიფო მოსამსახურეთა ასოციაციის 4 ათასი წევრი.

მეთერთმეტე კვირაა გრძელდება 1.600 მანქანათმშენებლის მჯდომარე გაფიცვა ხანდერლენდის ქარხანაში. ისინი პრეტენზიას აცხადებენ 300 ამხანაგის დათხოვნის წინააღმდეგ.

ლაკა — მთავრობა გადადგა

13 მარტს. (საკრესი). სახალხო ლიგის მმართველი პარტიის ლიდერი მუჯიბურ რაჰმანი შეხვდა ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს აბუ საიედ ჩოუდრის და კონსტიტუციის შესაბამისად გადასცა განცხადება თავისი მთავრობის გადადგომის შესახებ.

აბუ საიედ ჩოუდრი დათანხმდა გადადგომას და ამავე დროს სთხოვა მუჯიბურ რაჰმანს მთავრობის მეთაურის მოვალეობანი შეასრულოს მანამ, სანამ ჩამოყალიბდება მინისტრთა ახალი კაბინეტი. ბანგლადეშის პრეზიდენტმა ოფიციალურად შესთავაზა მუჯიბურ რაჰმანს პარლამენტის პირველ ორჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერს — შექმნას ახალი მთავრობა, რომელიც ქვეყნის ხელისუფლების სათავეში იქნება მომდევნო ხუთი წლის მანძილზე.

მუჯიბურ რაჰმანმა შეხვედრის დამთავრების შემდეგ პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ მინისტრთა ახალი კაბინეტი შეიქმნება 16 მარტს.

ლონდონი — ბრძოლა მწვავდება

13 მარტს. (საკრესი). ინგლისში მესამე კვირაა გრძელდება გაფიცვები, რომლებსაც ერთდროულად აწყობს მშრომელთა სხვადასხვა რაზმი. ისინი პრეტენზიას აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ მთავრობა ლახავს მათ საარსებო დონეს.

დღეს დილიდან ინგლისის სამხრეთ ნაწილში ხაზზე არ გასულა მატარებლების 75 პროცენტი, სოლო ცენტრალურ რაიონებში — 60 პროცენტი.

გაფიცულია საავადმყოფოების მომსახურე პერსონალის 200 ათასზე მეტი მუშაკი. მშრომელთა ეს ყველაზე მცირეანაზღაურებადი კატეგორია სხვებზე უფრო მწვავედ განიცდის კონსერვატორთა „ანტიინფლაციური“ პოლიტიკის შედეგებს.

გაფიცვას განაგრძობენ გაზის წყლის მუშები, რის შედეგადაც გაზის მიწოდება შეწყდა 3 ათასზე მეტ სამრეწველო ხაწარმოში.

დღეს გაფიცულია არმიის შეიარღოდა ხახელმწიფო მოსამსახურეთა ასოციაციის 4 ათასი წევრი.

მეთერთმეტე კვირაა გრძელდება 1.600 მანქანათმშენებლის მჯდომარე გაფიცვა ხანდერლენდის ქარხანაში. ისინი პრეტენზიას აცხადებენ 300 ამხანაგის დათხოვნის წინააღმდეგ.

ფოტოინფორმაცია

ამერიკის ავიაკომპანიების უარმა შეისყიდონ ინგლის-ხაფრანგეთის ზებგერითი სამგზავრო თვითფრინავი „კონკორდი“, დიდი ზარალი მიაყენა ინგლის-ხაფრანგეთის საავიაციო ფირმებს და აიძულა ისინი შეეზღუდათ „კონკორდის“ წარმოება. სხვადასხვა ქვეყნის ექვსმა ავიაკომპანიამ გააუქმა თავისი წინასწარი შეკვეთები იმ საბაბით, რომ თვითფრინავი „არ უპასუხებს ეექსპლოატაციის მოთხოვნებს“, კერძოდ, ძალიან ძლიერია ძრავების ხმაური.

აპ-ის საგენტოს მონაცემებით, დღეისათვის პრაქტიკულად არსებობს „კონკორდის“ მხოლოდ 9 შეკვეთა და ისიც მხოლოდ ინგლისისა და საფრანგეთის ავიაკომპანიების მხრიდან.

სურათზე: „კონკორდი“ პაერზეს თავზე; ზემოთ „კონკორდის“ აფრენისა და დაფრენის დროს ხმაურის შესამცირებელი მოწყობილობა.

აფპ-ხაკდესის ფოტო.

საკდესის კომენტარი — „ვალუტის ომის“ ეპიზოდი

ბრიუსელი

ბრიუსელში დამთავრდა ევროპის გაერთიანებათა მინისტრების საბჭოს სხდომა, რომელიც მთელ ღამეს გაგრძელდა. სხდომა მიმდინარეობდა „საერთო ბაზრის“ მონაწილე ქვეყნების ფინანსთა მინისტრების დონეზე.

მრავალი საათის დაძაბული დისკუსიის შემდეგ მინისტრებმა შეძლეს შეიმუშავებინათ მთელი რიგი შეზღუდული გადაწყვეტილებანი, რათა მოაწესრიგონ საგალუტო-საფინანსო კრიზისის ახალი აფეთქება კაპიტალისტურ ქვეყნებში და დაიცვან თავიანთი ინტერესები.

მათ შორის ყველაზე დიდმნიშვნელოვანია ის გადაწყვეტილება, რომ 19 მარტიდან „საერთო ბაზრის“ ექვსი ქვეყნის — საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგისა და დანიის ცენტრალურმა ბანკებმა მხარდაჭერა შეაწყვეტონ გაუფასურებულ ამერიკულ დოლარს ვალუტის ბაზრებზე. უკანასკნელ კვირების მანძილზე ეს ბანკები იძულებული იყვნენ შეეყვანათ ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე ასეული მილიონი და მილიარდობით დოლარიც კი, რათა დოლარის კურსი არ დაეცმეულიყო დადგენილ „კრიზისულ დონეზე“ დაბლა.

ისინი ერთად აწესებენ ამ ვალუტების თავისუფალ მერყევ კურსს ამერიკის შეერთებულ შტატების დოლარის მიმართ. თანაც, გადაწყვეტილია, რომ ამ ექვსი ქვეყნის ვალუტების კურსების მერყეობის საზღვრები ერთმანეთს შორის არ უნდა აღემატებოდეს 2,25 პროცენტს.

ამავე დროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა გ. შმიდტმა განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აპირებს მარკის კურსის „შეზღუდულ გათანაბრებას“ დაახლოებით 3 პროცენტით რევალვაციის გზით. გათვალისწინებულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ შეიზღუდოს დასავლეთ ევროპაში „ცხელი“ დოლარის მოზღვავება სპეკულაციის მიზნით, რომელსაც ეწინაარეს ყოველისა ფლობენ ამერიკული კომპანიები და ფირმები.

„საერთო ბაზარში“ არსებულ წინააღმდეგობებს ადასტურებს ის ფაქტი, რომ ინგლისმა, ირლანდიამ და იტალიამ, სადაც უკვე შემოღებულია ვალუტების მერყევი კურსი, უარი თქვეს შეუერთდნენ ექვსი ქვეყნის დოკუმენტურ გადწყვეტილებას, რადგან მიუღებლად მიიჩნიეთ მისი პირობები.

ბონი — ზეგავლენა ძლიერდება

13 მარტს. (საკრესი). ბონში ბევრი ფიქრობენ ის ფაქტზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბრეზიდენტმა ბევრ ადგილებზე ბონის ინტერესებს ეწინააღმდეგა.

